MES 2 21 0000445605

14/05/2021

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ.თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

1. **თამარ მამსიკაშვილი** - სსიპ - ქალაქ თბილისის N186 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დავითმალაზონია -** შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ქეთევან ბოტკოველი -** სსიპ - ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლის პედაგოგი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს მდივანი;
4. **გიორგიგიგიბერია -** ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
5. **ქეთევანნატროშვილი** - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
6. **მაკამამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
7. **რევაზაფხაზავა** - კოალიციის განათლება ყველასათვის - საქართველო პოლიტიკის ადვოკატირების ოფიცერი, გამგეობის წევრი, ა(ა)იპ - განათლების პოლიტიკის დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
8. **ზვიად გოგუაძე -** საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
9. **პერტე ბაბილუა -** შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
10. **ეკატერინე კვირიკაშვილი -** საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
11. **ია აფთარაშვილი -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის

ასოციირებული პროფესორი, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის კვლევების კოორდინატორი, საბჭოს წევრი;

12. **ლიანა კობესაშვილი -** შპს „ინტელექტი XXI - ის“ მასწავლებელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
13. **ზაქარია ქიტიაშვილი -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმ ომადგენლები:

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნათია მჭედლიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ახალი ქართული სკოლა

სკოლის დირექტორი - მადონა ლანჩავა
სკოლის სასწავლო ნაწილი - სოფიო სახვაძე

შპს აისი

სკოლის დირექტორი - სესილი ქადარია
სკოლის დირექტორის მოადგილე - რევაზ გულარაშვილი

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერ ტები):

შპს ახალი ქართული სკოლა

ნოდარ ანგურიძე
ზვიად გოგუაძე

შპს აისი

ნატო გაბოშვილი
ცირა ნიკოლაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, თამარ მამსიკაშვილი. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2021 წლის 19 აპრილს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით).
სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის თანამშრომელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის გამოქვეყნებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს ახალ ქართულ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს აისში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. ,,ა(ა)იპ - წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართლმადიდებლური სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 09 ნოემბრის N130 გადაწყვეტილებაში არსებული ტექნიკური ხასიათის შეცდომის კორექტირების საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა იქნა წარდგენილი საბჭოს წევრის, ზვიად გოგუაძის, მიერ. გამომდინარე იქიდან, რომ შპს ახალ ქართულ სკოლაში საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე იყო ექსპერტი, აღნიშნული საკითის კენჭისყრაში, საბჭოს წევრი ზვიად გოგუაძე, ვერ მიიღებდა მონაწილეობას და მან განაცხადა თვითაცილება. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა და დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. შპს ახალ ქართულ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით.

საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნოდარ ანგურიძემ და ზვიად გოგუაძემ. მათ აღწერეს შეფასების შედეგები და ძირითადი მიგნებები სტანდარტების შესაბამისად.
ექსპერტის განცხადებით, გარდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენისა, შეფასების ობიექტად განსაზღვრული იყო ასევე, დაწესებულების სასწავლო პროცესის წარმოების კანონშესაბამისობა. მონიტორინგის პროცესში წარმოდგენილი მასალისა და დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგად, ირკვეოდა, რომ 2019 წლის 03 დეკემბერს, შპს ახალი ქართულ სკოლის დირექტორს, განცხადებით მიმართა მოქალაქემ, რომელმაც ითხოვა შვილის (შემდგომში - სტატუსშეჩერებული მოსწავლე), აღნიშნული სკოლის მე-7 კლასში მიღება, განცხადებას მშობელმა დაურთო პირის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და მისი თარგმანის ნოტარიულად დამოწმებული ასლი. ექსპერტის განმარტებით, დოკუმენტიდან ირკვეოდა, რომ სტატუსშეჩერებული მოსწავლის მიერ სკოლა ბეტაში სწავლის პერიოდია 2015 წლის 25 ნოემბრიდან 2019 წლის 11 სექტემბრის პერიოდი და ასევე ის, რომ 2019 წლის აგვისტოდან სტატუსშეჩერებულ მოსწავლემ სწავლა განაგრძო აღნიშნული სკოლის მე-7 კლასში. აღნიშნული განცხადების საფუძველზე, სკოლამ ჩათვალა, რომ უნდა დაეწყო უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცედურა და სკოლის დირექტორმა გამოსცა ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი ,,შპს ახალ ქართული სკოლაში სტატუსშეჩერებული მოსწავლის მეშვიდე კლასში სასწავლო პროცესზე დროებით დაშვების შესახებ“. ამასთან, იმავე დღეს სკოლამ განმცხადებელთან გააფორმა ხელშეკრულება, როგორც მეშვიდე კლასის მოსწავლის, სტატუსშეჩერებული მოსწავლის მშობელთან.
ექსპერტის განცხადებით, საგულისხმო იყო, რომ ამ მომენტისთვის სტატუსშეჩერებულ მოსწავლეს ჯერ არ ჰქონდა მოსწავლის სტატუსი, მას მოსწავლის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა მე-4 კლასში სსიპ - ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლის მიერ, 2016 წელს, უცხოეთში გამგზავრებამდე. ექსპერტის თქმით, მის მიმართ უნდა განხორციელებულიყო მოსწავლის სტატუსის აღდგენა სსიპ - ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლაში, რადგან “ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „მოსწავლის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა, რომელსაც სურდა მოსწავლის სტატუსის აღდგენა უნდა მიემართა იმ სკოლისთვის, რომელმაც შეუჩერა მოსწავლეს სტატუსი ან მის უფლებამონაცვლეს,“ იმავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „მოსწავლეს აღუდგებოდა მოსწავლის სტატუსი იმავე კლასში, სადაც შეუჩერდა სტატუსი.“ ექსპერტის განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუ სკოლამ შეწყვიტა საგანმანათლებლო საქმიანობა და არ ჰყავდა უფლებამონაცვლე, მოსწავლის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა, რომელსაც სურდა მოსწავლის სტატუსის აღდგენა, უნდა მიიმართა იმ სკოლსთვის, სადაც სურდა სწავლის გაგრძელება. აღსანიშნავი იყო ის, რომ იმ მომენტისთვის (და დღევანდელი მდგომარეობითაც) “ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანების მონაცემებით, სსიპ - ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლა წარმოადგენდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს – ქალაქ გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებულ საჯარო სკოლას და სტატუსშეჩერებულ მოსწავლეს მოსწავლის სტატუსის აღნიშნულ სკოლაში აღდგენის სამართლებრივად დამაბრკოლებელი გარემოება არ არსებობდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, შპს ახალი ქართული სკოლის დირექტორმა, მადონა ლანჩავამ წერილობით განმარტა, რომ შპს ახალი ქართული სკოლა არ ფლობდა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ სტატუსშეჩერებული მოსწავლე სწავლობდა საქართველოში, უცხოეთში წასვლამდე.

ექსპერტის განცხადებით, მას შემდეგ, რაც სკოლამ გამოსცა ბრძანება „შპს ახალ ქართულ სკოლაში სტატუსშეჩერებული მოსწავლის მეშვიდე კლასში სასწავლო პროცესზე დროებით დაშვების შესახებ“ სკოლამ დაიწყო უცხოეთში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების პროცედურები. ექსპერტის თქმით, შპს ახალი ქართული სკოლის უცხოეთში მიღებული ზოგადი განათლების შესაბამისობის დამდგენი კომისიის 2020 წლის 04 თებერვლის N1 ოქმიდან ირკვეოდა, რომ აღნიშნულმა კომისიამ, განიხილა სტატუსშეჩერებული მოსწავლის გამოცდების შედეგები. კომისიამ დაადგინა მოსწავლის მე-6 კლასში უცხოეთში მიღებული განათლების შესაბამისობა რიგ საგნებში და გადაწყვიტა, რომ სტატუსშეჩერებულ მოსწავლეს შეეძლო სწავლა გააგრძელებინა შპს ახალი ქართული სკოლის საბაზო საფეხურის მე-7 კლასში.
ექსპერტის განმარტებით, ზემოაღნიშნული დასკვნა სკოლამ და სტატუსშეჩერებული მოსწავლის მშობელმა წარადგინეს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, რაზედაც ცენტრის 2020 წლის 18 თებერვლის წერილით ეცნობათ დამატებითი და შეცვლილი დოკუმენტაციის წარდგენის შესახებ. ექსპერტის თქმით, სკოლამ აღარ გააგრძელა პროცედურა, რადგან შეიტყო, შპს ახალი ქართული სკოლა არ იყო უფლებამოსილი განეხორციელებინა უცხოეთში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების პროცედურები და მოსწავლის სტატუსი უნდა აღდგენილიყო გორის N2 საჯარო სკოლაში.
ექსპერტის განცხადებით, 2020 წლის 18 თებერვლიდან 2020 წლის 19 მაისამდე სტატუსშეჩერებულ მოსწავლესთან დაკავშირებით, სამართლებრივი ღონისძიებები აღარ ხორციელდებოდა. მისი თქმით, გასაუბრებისას, სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ ამ პერიოდში (20 თებერვალს) შეიტყო, რომ სტატუსშეჩერებულ მოსწავლეს მოსწავლის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა სსიპ - ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლაში და პანდემიის პირობებში პროცედურების განხორციელება, რომელიც სსიპ - ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლას უნდა განეხორციელებინა, ვერ დააჩქარეს. სტატუსშეჩერებულ მოსწავლეს 2020 წლის 19 მაისს სსიპ - ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლის მე-4 კლასში აღუდგა მოსწავლის სტატუსი. ექსპერტის განმარტებით, 2020 წლის 26 ივნისს მოსწავლემ ისარგებლა მობილობის უფლებით და გადავიდა შპს ახალი ქართული სკოლის მე-5 კლასში. მისი თქმით, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ 2020 წლის 02 ივლისს წერილობით მიმართმა ქალაქ გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრს და გაითხოვა ამ მოსწავლის მიერ მე-4 კლასის დაძლევის საფუძველი. ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული წერილის პასუხად, ქალაქ გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან მართვის სისტემაში 2020 წლის 08 ივლისის კორესპონდენციით გაგზავნილი სსიპ - ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლის 2020 წლის 07 ივლისის წერილით წარდგენილი ინფორმაციის თანახმად, სტატუსშეჩერებულ მოსწავლეს 2020 წლის 19 მაისს სსიპ - ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლაში აღუდგა მოსწავლის სტატუსი მე-4 კლასში. რაც შეეხებოდა უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების ფაქტს, სტატუსშეჩერებული მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს ასეთი მოთხოვნით სკოლისთვის არ მიუმართავს და შესაბამისად სკოლაში არ მომხდარა მისთვის უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მიზნით შესაბამისი პროცედურების დაწყება.
ექსპერტის განმარტებით, ვიზიტის დროინდელი მდგომარეობით მოსწავლე მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში და შპს ახალი ქართული სკოლის მატერიალურ ჟურნალში ირიცხებოდა მე-5 კლასში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სსიპ - ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლის

განცხადებით მოსწავლეს დაძლეული არ ჰქონდა მე-4 კლასი, რეალურად შპს ახალი ქართული სკოლის მიერ კომპლექსური დავალებების საშუალებით გადაყვანილი იყო მე-8 კლასში.

ექსპერტთა ჯგუფის წევრის, ზვიად გოგუაძის განმარტებით, სამართლებრივ ნაწილში, საფუძველშივე იყო პრობლემა, მოსწავლის ჩარიცხვასთან დაკავშირებით. მისი თქმით, აღიარების პროცედურები სკოლამ დაიწყო არასწორად და კანონით გათვალისწინებული წესის აცდენით. მან აღნიშნა ისიც, რომ აღიარების პროცედურები მიმდინარეობდა პირზე, რომელსაც მოსწავლის სტატუსი არ ჰქონდა.

ექსპერტთა ჯგუფის მოსმენის შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი აზრი აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

სკოლის დირექტორის განცხადებით, ექსპერტთა დასკვნა შეესაბამებოდა რეალობას, მათი მხრიდან თავიდანვე იყო დაშვებული გარკვეული შეცდომები. მან აღნიშნა, რომ როდესაც მშობელმა მიმართა სკოლას თხოვნით მოსწავლის მიღების თაობაზე, მას არ აუხსნია, ის რომ მისი შვილები საქართველოში სწავლობდნენ. სკოლის დირექტორის თქმით, მშობელმა განუმარტა სკოლას, რომ ისინი ცხოვრობდნენ შვედეთში და ახლა სურდათ მის შვილებს სწავლა გაეგრძელებინათ შპს ახალ ქართულ სკოლაში. დირექტორის განცხადებით, ხელშეკრულებასთან დაკავშირებითაც იყო გადაცდომა, მაგრამ ისიც აღნიშნა, რომ ხელშეკრულების გაფორმების გარეშე ვერ მოხერხდებოდა მოსწავლის მიღება. მან შემდეგ ისაუბრა პროცედურასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მშობელი საკონსულტაციოდ გაგზავნილ იქნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, განათლების აღიარების საკითხთან დაკავშირებით. მისი თქმით, სკოლამ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ცხელ ხაზზე განახორციელა ზარი, სადაც უთხრეს რომ შიდა გამოცდების საფუძველზე შეეძლოთ მოსწავლის ჩარიცხვა.

საბჭოს წევრმა, გიორგი გიგიბერიამ მიმართა სკოლის წარმომადგენლებს კითხვით, თუ რით ახსნიდნენ იმ გარემოებას, რომ მოსწავლე ირიცხებოდა გორის N2 საჯარო სკოლაში.
სკოლის დირექტორის განცხადებით, როდესაც მშობელი მათთან მივიდა სკოლაში, არ უთქვამს, რომ მისი შვილები საქართველოში სწავლობდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის წარმომადგენლებს და განაცხადა, რომ გასაგები იყო, რომ მშობელს არ ჰქონდა მოხსენებული, რომ მისი შვილები საქართველოში სწავლობდნენ. თუმცაღა სკოლა ითხოვდა გარკვეულ დოკუმენტაციას. პირადი საქმის გარეშე როგორ მოხდებოდა სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა.

სკოლის დირექტორის განცხადებით, მშობელმა წარმოადგინა მხოლოდ მე-6 კლასის შეფასება უცხოეთიდან. მან, ასევე მოთხოვა მშობელს დანარჩენი კლასების შეფასებაც და მშობლის განმარტებით, მოთხოვნილი შეფასებები არ ჰქონდა. ამის შემდეგ, სკოლის დირექტორმა მშობელს მოთხოვა, იმ სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია, სადაც სწავლობდა მისი შვილი. სკოლის დირექტორის თქმით, მშობელს სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია არ გადაუცია.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა მიმართა სკოლის წარმომადგენლებს კითხვით, 18 თებერვალს, როდესაც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა მოთხოვა სკოლას დაზუსტება გარკვეული დოკუმენტაციის, 19 მაისამდე სკოლამ რატომ არ მოახდინა რეაგირება.

სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, ზემოაღნიშნული დაემთხვა პანდემიის პერიოდს, როდესაც სწავლა შეჩერდა და ეს წარმოადგენდა მიზეზს, თუ რატომ არ მოახდინა რეაგირება დაწესებულებამ.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ განცხადება რომელიც ეხებოდა მოსწავლის ჩარიცხვას, ვადებში იყო დარღვეული. მისი თქმით განცხადება დაწერილი იყო 2019 წელს და მოსწავლე ჩარიცხული იყო 2020 წელს, ამასთან დაკავშირებით რა პოზიცია ჰქონდა საკოლას.

სკოლის დირექტორის განცხადებით, როდესაც მშობელი მივიდა სკოლაში და დაწერა განცხადება, ამ განცხადებით მოქმედებდა შემდგომ სკოლა.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ბოტკოველმა, მიმართა კითხვით სკოლას თუ, რომელ კლასში ჩაირიცხა მოსწავლე და რაიმე ტესტირება თუ ჩაუტარდა.

სკოლის დირექტორის განცხადებით, მოსწავლე ასაკის შესაბამის კლასში ჩაირიცხა და დამატებით ქართულ ენაში უტარებდნენ გაკვეთილებს ქართული ენის გასაუმჯობესებლად, ასევე ისტორიაშიც. სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, ამ ეტაპზე მოსწავლეს ჩაუტარდა ექსტერნატის გამოცდები, მე-4 კლასიდან მე-7 კლასის ჩათვლით და მოსწავლე ამჟამად ირიცხებოდა მე-8 კლასში. მისი განმარტებით, მე-8 კლასის პირველი და მეორე სემესტრი გაწერილი ჰქონდა ინდივიდუალური გეგმის დაძლევაზე.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ბოტკოველმა, მიმართა კითხვით ექსპერტებს, ნანახი ჰქონდათ თუ არა კომპლექსური დავალებები, რომელიც ჩაურატდა მოსწავლეს.

ექსპერტ, ნოდარ ანგურიძის განცხადებით, ეს კომპლექსური დავალებები ექსპერტთ ჯგუფს არ უნახავს. ამასთან, მისი თქმით, ეს კომპლექსური დავალებები სკოლას არ უნდა ჩაეტარებინა მოსწავლისთვის, რადგან იყო არაკანონიერი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად არ ჩათვალეს მოცემული შეუსაბამობები შეფასებულიყო შპს ახალი ქართული სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საფუძვლად. ამასთან, საბჭომ შუამდგომლობით მიმართა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, არაუადრეს 6 თვისა და არაუგვიანეს 1 წლის ვადაში, განხორციელდეს შპს ახალი ქართული სკოლის მონიტორინგი და მოხდეს შეფასება ავტორიზაციის I და II სტანდარტებთან მიმართებით.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ახალი ქართული სკოლის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს

ადმინისტრაციული წარმოება შპს ახალი ქართული სკოლის (ს/კ 404909532) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

2. შპს აისში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით.
საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნატო გაბოშვილმა და ცირა ნიკოლაშვილმა. მათ აღწერეს შეფასების შედეგები და ძირითადი მიგნებები სტანდარტების შესაბამისად. ექსპერტ, ნატო გაბოშვილის განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, შემოსული სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის წერილის საფუძველზე, რომელიც ეხებოდა სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N2 საჯარო სკოლის ყოფილი მოსწავლის, კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება შპს ,,აისში“ მობილობის გარეშე ჩარიცხვის საკითხს, დაიგეგმა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი მონიტორინგის მიზნით.
ექსპერტის განმარტებით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული„ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-7 მუხლის „ზ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სტანდარტის შესრულების შემოწმება.
ექსპერტის განცხადებით, ვიზიტი, დისტანციურად, განხორციელდა 2021 წლის 16 მარტს. ვიზიტის განხორციელებამდე შესწავლილ იქნა შპს „აისის“ მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია. მისი თქმით, დოკუმენტებიდან ირკვეოდა, რომ მოსწავლე, დაბადებული 2011 წლის 11 ოქტომბერს, 2019 წლის 6 სექტემბერს ჩარიცხული იყო აღნიშნული სკოლის პირველ კლასში. ჩარიცხვის საფუძველს წარმოადგენდა სამინისტროს თანხმობა, მშობლის განცხადების საფუძველზე გაცემული, რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ, მოსწავლის ჩარიცხვასთან დაკავშირებით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გაცემულ წერილში მითითებული იყო, რომ თანახმა იყო რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ, მოსწავლე ჩარიცხულიყო ამ სკოლაში, თუ სხვა ნორმები იქნებოდა დაცული.
ექსპერტის განმარტებით, გადამოწმდა ასევე, ავტორიზაციის შედეგად სკოლისთვის განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, რომლის ფარგლებშიც სკოლას უფლება ჰქონდა მოსწავლე ჩაერიცხა. მისი თქმით, აღნიშნული რაოდენობა დაცული იყო და ამჟამად აღნიშნული მოსწავლე, ამავე სკოლის მეორე კლასის მოსწავლედ ფიქსირდებოდა და ინფორმაცია ასახული იყო მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში.
ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის პერიოდში, შპს „აისის“ ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრების შემდეგ, გარკვეული დეტალების დაზუსტებისთვის, საჭირო იყო მოსწავლის მშობელთან გასაუბრება. მისი თქმით, ადმინისტრაციის დახმარებით, ზუმის პლატფორმის გამოყენებით მოხდა მოსწავლის დედის ჩართვა და მასთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ

2018 წელს, მოსწავლე ჩაირიცხა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N2 საჯარო სკოლაში, სადაც მან პირველი სემესტრის განმავლობაში იარა, ამ პერიოდში მან ვერ წარადგინა სკოლის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია, დაბადების მოწმობა, რადგან, მშობელი იყო რუსეთის მოქალაქე, ხოლო შემდეგ მიატოვა სწავლა. ექსპერტის განმარტებით, მომდევნო წელს, ანუ 2019 - ში ჩაირიცხა კვლავ პირველ კლასში, შპს“აისში“. ამჟამად წარმოდგენილი დაბადების მოწმობის რეგისტრაციის თარიღია 2020 წლის 25 ნოემბერი. ექსპერტის თქმით, შპს აისში მოსწავლე მივიდა იმ ფორმით, რომ ის არსად არ სწავლობდა მანამდე, მოსწავლე ირიცხებოდა მობილობის წესის გავლის საფუძველზე. მისი თქმით, მოსწავლე შპს აისში ირიცხებოდა მე-2 კლასში, რაც გადამოწმებული იყო განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში.
ექსპერტმა, ნატო გაბოშვილმა აღნიშნა, რომ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, დაწვრილებით, გადამოწმებულ იქნა ყველა მოსწავლის პირადი საქმე. მისი თქმით, ყველა მოსწავლე, ამ ვადებში, ჩარიცხული იყო განათლების და მეცნიერების სამინისტროს ნებართვით და უფრო ადრეულ წლებში, ხოლო მომდევნო წლებში რესურსცენტრის ნებართვით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
სკოლის დირექტორის განცხადებით, ექსპერტებთან ურთიერთთანამშრომლობის შედეგად, დეტალურად იქნა შესწავლილი ყველა საკითხი. მისი თქმით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს სკოლასთან ჰქონდა შეკითხვა, რომელზეც დაწესებულებამ გასცა პასუხი, ვინაიდან, სკოლის დირექტორის განმარტებით, მოსწავლე, რომელზეც იყო საუბარი, მათ ჩარიცხეს სკოლაში განათლების და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი რეგულაციების დაცვით, მინისტრის ბრძანების საფუძველზე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები დაწესებულებასთან.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა მიმართა სკოლას კითხვით, დაბადების მოწმობასთან დაკავშირებით. ის დაინტერესდა, თუ როგორ წარმოადგინა მშობელმა დაბადების მოწმობის ასლი ნოტარიულად დამოწმებული 2019 წელს, როდესაც დაბადების მოწმობის გაცემის თარიღი იყო 2020 წლის 25 ნოემბერი.
სკოლის დირექტორის განცხადებით, ტექნიკურ უზუსტობას ჰქონდა ადგილი. მისი თქმით, 2020 წელს პირადობის მოწმობა აიღო მოსწავლემ და დაბადების მოწმობაში, პირადი ნომერი თავიდანვე ჰქონდა მინიჭებული.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა მიმართა სკოლას შინაგანაწესთან დაკავშირებით, წარმოდგენილი შინაგანაწესის ვერსია იყო თუ არა საბოლოო და ცვლილება როდის განხორციელდა. მისი თქმით, წარმოდგენილი შინაგანაწესი (2016 წლის) მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში არ იყო.
სკოლის დირექტორის განცხადებით, შინაგანაწესში 2020 წლის შემოდგომაზე იყო ცვლილება შეტანილი. მისი თქმით, შინაგანაწესის დოკუმენტი 2016 წლის იყო, თუმცა ცვლილება-დამატება ბრძანებით ჰქონდათ დამტკიცებული.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს აისის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს აისის (ს/კ 204951481) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

3. ,,ა(ა)იპ - წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართლმადიდებლური სკოლის ავტორიზაციის შესახებ" ზოგადსაგანმანათლებლოდაწესებულებებისავტორიზაციისსა ბჭოს 2016 წლის 09 ნოემბრის N130 გადაწყვეტილებაში არსებული ტექნიკური ხასიათის შეცდომის კორექტირების საკითხის განხილვა.

ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 10 ნოემბრის №374 გადაწყვეტილებით, ა(ა)იპ - წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართლმადიდებლურ სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 215613361) მიენიჭა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, 5 წლის ვადით. ამასთან, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 09 ნოემბრის №130 გადაწყვეტილებით, ა(ა)იპ - წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართლმადიდებლურ სკოლას მიენიჭა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით, 6 წლის ვადით. თუმცა, აღნიშნულ გადაწყვეტილებაში, იურიდიული პირის საინდეტიფიკაციო ნომრად მითითებულია - 430024939. აღნიშნული საიდენტიფიკაციო ნომრით კი, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებულია სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე წარადგინა შუამდგომლობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 09 ნოემბრის N130 გადაწყვეტილებაში არსებული ტექნიკური ხასიათის შეცდომის კორექტირების შესახებ. მისი განმარტებით საკითხი იყო ტექნიკური ხასიათის და გადაწყვეტილებაში უნდა მომხდარიყო დაწესებულების საიდენტიფიკაციო ნომრის ცვლილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ განსახილველ საკითხთან დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოებებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებს და საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.
შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ,,ა(ა)იპ - წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართლმადიდებლური სკოლის ავტორიზაციის შესახებ" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 09 ნოემბრის N130 გადაწყვეტილებაში არსებული ტექნიკური ხასიათის შეცდომის შესწორების შესახებ საკითხი.

კენჭისყრისშედეგები:

მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ,,ა(ა)იპ - წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართლმადიდებლური სკოლის ავტორიზაციის შესახებ"

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 09 ნოემბრის N130 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: “,,ა(ა)იპ - წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართლმადიდებლურ სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 215613361) 6 წლით ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით“.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 18:30 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბოტკოველი ქეთევან

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მამსიკაშვილი თამარი